# საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-539

29/06/2020

ქ. თბილისი

**„შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 7 ივნისის №ი-267 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ**

2020 წლის 23 ივნისს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2010 წლის 7 ივნისს გაცემული №35 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების  სამინისტროს მიერ შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე (ასპინძის მუნიციპალიტეტი) გაიცა №35 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (07.06.2010).

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან საწარმო აღარ ფუნქციონირებს და ტერიტორია გასხვისებულია. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელმა ითხოვა დასკვნის გაუქმება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპი“-ს ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 7 ივნისის №ი-267 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი